

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში სხვადასხვა ტიპის 30 დავალებაა. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-24, 30.1-30.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, რომელი თარიღით განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია?
- ა. 1995 წლის 24 აგვისტო
 - ბ. 1991 წლის 31 მარტი
 - გ. 1991 წლის 21 დეკემბერი
 - დ. 1918 წლის 26 მაისი

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა:

ა. დაბადების მომენტიდან

ბ. 7 წლის ასაკიდან

გ. 14 წლის ასაკიდან

დ. 18 წლის ასაკიდან

3. რას ეწოდება რატიფიკაცია?

- ა. სხვა ინსტანციებში განხილული საქმის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებას
- ბ. ქონების დაბრუნებას ყოფილი მფლობელისათვის და მასზე უფლებრივი მდგომარეობის აღდგენას
- გ. უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონის ძალაში შესვლის შეჩერებას ან აკრძალვას
- დ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვას

4. რომელ სახელმწიფოს არ გააჩნია დაწერილი კონსტიტუცია?

ა. ამერიკის შეერთებულ შტატებს

ბ. საქართველოს

გ. ინდოეთს

დ. ისრაელს

5. რა თვისება არ ახასიათებს ადამიანის უფლებებს?

ა. შეუთავსებლობა


ბ. განუყოფლობა

გ. საყოველთაობა

დ. ურთიერთდამოკიდებულება

6. რომელია სტრუქტურული კონფლიქტის გადაჭრის გზა კრისტოფერ მურის მოდელის მიხედვით?
- ა. როლების შეცვლა, ძალაუფლებისა და რესურსების განაწილების წესების გადახედვა
 - ბ. საერთო ღირებულებებისა და მიზნების მოძიება, რომელსაც ორივე მხარე იზიარებს
 - გ. განსაზღვრა იმისა, რისი დათმობაც შესაძლებელია მეორე მხარის ინტერესების დასაკმაყოფილებლად
 - დ. ემოციების კონტროლი, შესაბამისი წესების და პროცედურების შემოღებით

7. სქემა არასრულად ასახავს მდგრადი განვითარების კომპონენტებს. რომელი კომპონენტი შეესაბამება სქემის ცარიელ გრაფას?



- ა. მდგრადი ტერიტორიული განვითარება
- ბ. გლობალიზაციის მდგრადი განვითარება
- გ. მდგრადი სოციალური განვითარება
- დ. მდგრადი პიროვნული განვითარება

8. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რა არ წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციას?
- ა. სასკოლო კლუბების შექმნა
 - ბ. სკოლის მასწავლებელთა შესარჩევ პროცესში ჩართვა
 - გ. მოპოვებული გრანტების განკარგვაში მონაწილეობა
 - დ. სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება

9. რომელი პოლიტიკური ქცევა არ შეიძლება დახასიათდეს როგორც „მაკიაველიზმი“?
- ა. ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით პოპულისტური დაპირებების მიცემა
 - ბ. პოლიტიკური მოღვაწეობა ეთიკური პრინციპების დაცვის წინაპირობით
 - გ. ოპონენტების წინააღმდეგ მიკერძოებული ინფორმაციის მასობრივად გავრცელება
 - დ. პოლიტიკური წარმატების მიღწევისათვის საზოგადოებაში შიშის დანერგვა

10. რა არ წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას?

ა. შინაგანი რწმენის საფუძველზე დასკვნის გამოტანა

ბ. განსასჯელისათვის პატიმრობის კანონით გათვალისწინებული ვადის შეფარდება

გ. ბრალდებულის საქმესთან დაკავშირებით მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღება

დ. კანონიერი მტკიცებულებების გათვალისწინებით ბრალდებულის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შესახებ დასკვნის გამოტანა

11. რომელი მსჯელობა გადმოსცემს მართებულად საბაზრო და გეგმიური ეკონომიკის შინაარსს?

ა. საბაზრო ეკონომიკურ სისტემას ახასიათებს კონკურენტული გარემო და თავისუფალი ბაზარი, რაც აკავშირებს მას გეგმიურ ეკონომიკურ სისტემასთან, რომელშიც პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასა და განაწილებაზე გადაწყვეტილებებს ბიზნესმენები იღებენ

ბ. გეგმიური ეკონომიკის სისტემაში მარეგულირებელ პრინციპს წარმოადგენს ე.წ. „უხილავი ხელი“ და კონკურენტული გარემო, ამიტომ მასში გამორიცხულია ბიზნესის თავისუფლება, საბაზრო ეკონომიკისაგან განსხვავებით

გ. გეგმიური ეკონომიკა ხასიათდება ბიზნესის თავისუფლებით და მასში სახელმწიფოს როლი მინიმუმამდეა დაყვანილი, ხოლო საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს მთავრობის მიერ ეკონომიკის დარგების კონტროლს

დ. საბაზრო ეკონომიკა თვითრეგულირების პრინციპს ეყრდნობა და მისთვის დამახასიათებელია თავისუფალი და კონკურენტული გარემო, რაც განასხვავებს მას გეგმიური ეკონომიკისაგან, რომელიც ხელისუფლების მიერ რეგულირდება

12. პოლიტიკურ მეცნიერებაში საზოგადოების როგორ მდგომარეობას ეწოდება „ბუნებითი მდგომარეობა“?

ა. ბუნებასთან ჰარმონიულ თანაცხოვრებას

ბ. მოქალაქეთა დაუმორჩილებლობას სახელმწიფოს კანონებისადმი

გ. ბუნებრივი რესურსების მიმართ მოუფრთხილებელ დამოკიდებულებას

დ. იმ კანონების არარსებობას, რომლის საფუძველზეც ყალიბდება პოლიტიკური ერთობა

13. დემოკრატიულ სახელმწიფოში გადაწყვეტილებები მრავალმხრივი განხილვისა და მსჯელობის საფუძველზე მიიღება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ქვეყანაში პოლიტიკური _____ არსებობა, რაც გადაწყვეტილებას უფრო დიდ ლეგიტიმაციას ანიჭებს.

ა. ნეპოტიზმის

ბ. ინდოქტრინაციის

გ. პლურალიზმის

დ. უზურპაციის

14. გარკვეულ შემთხვევებში მოქალაქეებს ეძლევათ უფლება, _____ საშუალებით უშუალოდ მიიღონ გადაწყვეტილება ამა თუ იმ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხზე. ამ საერთო სახალხო გამოკითხვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გამოქვეყნებისთანავე შედის ძალაში და მას კანონის ძალა აქვს.

ა. პლებისციტის

ბ. ინაუგურაციის

გ. რეფერენდუმის

დ. ქვორუმის

15. სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებს თავად შეეძლოთ საქონლის წარმოება და ასევე, სხვის მიერ წარმოებული საქონლის შეძენა. ამ მხრივ, წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს _____ კაპიტალი, რომელიც იმ ცოდნას და უნარებს მოიცავს, რაც საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად გამოიყენება.


ა. ადამიანური

ბ. ტექნიკური

გ. ბუნებრივი

დ. ფიზიკური

16. მრავალფეროვნების მართვის რომელი ფორმაა გამოხატული მოცემულ ილუსტრაციაზე?



ა. თანაარსებობა

ბ. სეგრეგაცია

გ. ასიმილაცია

დ. ინტეგრაცია

17. გაეცანით სიტუაციას და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვას:

ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექციამ სკოლაში სალოცავი კუთხის მოსაწყობად გარკვეული თანხა გამოჰყო. თუმცა ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა. ამის გამო, შემოწირულობის შეგროვების მიზნით მოსწავლეებმა სასკოლო პროექტის ფარგლებში ჩაატარეს საქველმოქმედო კონცერტი და შეგროვებული თანხა აღნიშნულ საქმეს მოახმარეს.

როგორ შეაფასებდით სამართლებრივი კუთხით აღნიშნულ სიტუაციას?


ა. არ შეიძლება სკოლის მოსწავლეები ფინანსური სახსრების მოძიების საქმეში იყვნენ ჩართულნი

ბ. ბავშვების ჩართვა საქველმოქმედო საქმიანობაში მიზანშეწონილია, თუმცა საჯარო სკოლის სალოცავი თავად სკოლამ უნდა მოაწყოს

გ. საჯარო სკოლა სეკულარული სივრცეა და იქ სალოცავის გაკეთება კანონით არის აკრძალული


დ. საჯარო სკოლაში სალოცავის მოწყობა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეთა მშობლების უმრავლესობა გასცემს ნებართვას

18. დავალებაში მოცემულია საქართველოსა და არგენტინის გლობალიზაციის ინდექსები და მათი შემადგენელი კომპონენტები. რომელი მსჯელობა არ შეესაბამება მოცემულ დიაგრამას?



- ა. საქართველოში, არგენტინასთან შედარებით, უფრო მაღალია როგორც საერთო, ასევე სოციალური გლობალიზაციის ინდექსი
- ბ. პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსით არგენტინა უსწრებს საქართველოს, მაგრამ ჩამორჩება გლობალიზაციის საერთო ინდექსით
- გ. საქართველოში პოლიტიკური და სოციალური გლობალიზაციის ინდექსი უფრო დაბალია, ვიდრე არგენტინაში
- დ. არგენტინა საქართველოს ჩამორჩება როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური გლობალიზაციის ინდექსით

19. დავალებაში მოცემულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები. რომელი დასკვნა არ გამომდინარეობს მოცემული კვლევიდან?



- ა. უფროსი ასაკის გამოკითხულთა უმეტესობა ევრაზიულ კავშირში საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგია, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლას ცუდ მოვლენად აფასებს
- ბ. საშუალო ასაკის გამოკითხულთა უმეტესობისთვის მიუღებელია საქართველოს როგორც ნატო-ში, ასევე ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება
- გ. სხვა თაობებთან შედარებით, საბჭოთა კავშირის დაშლას დადებითად ყველაზე მეტად ახალგაზრდა თაობა აფასებს. ასევე ამ თაობისთვისაა ყველაზე მეტად მისაღები საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება
- დ. ახალგაზრდა და საშუალო ასაკის გამოკითხულთა უმეტესობა საბჭოთა კავშირის დაშლას დადებით მოვლენად აფასებს

20. ყურადღებით გაეცანით ამონარიდს საგაზეთო სტატიიდან და უპასუხეთ შეკითხვას:

2017 წელს საქართველოში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის მიწის გასხვისების საკითხს ეხებოდა. კონფერენციის ორგანიზატორის შეფასებით, ამ მასშტაბის კონფერენცია აქამდე არ გამართულა. როგორც კონფერენციის ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, „უცხოელებს სურთ ქართული მიწის ყიდვა, რათა ნელ-ნელა ქართველი ერი განდევნონ საქართველოდან და თავად დაიდონ აქ ბინა.“

კონფერენციას ესწრებოდნენ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებიც. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევდა, რომ მიწების გასხვისების აკრძალვა ნეგატიურ შედეგს იქონიებს ეკონომიკის განვითარებაზე, რადგან გასული წლის განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო სამეურნეო საქმიანობით მიღებული სარგებელი ქვეყნის ბიუჯეტში შესული თანხის 5% იყო. შესაბამისად, ისინი ვარაუდობდნენ, რომ მომავალ წელს ეს მაჩვენებელი 10-12%-მდე გაიზრდება.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი წინადადება წარმოადგენს ფაქტს?

ა. უცხოელების განზრახვები საქართველოს მიმართ მტრულია

ბ. მიწების გასხვისების აკრძალვა ნეგატიურად აისახება ეკონომიკაზე

გ. 2016 წელს სოფლის მეურნეობით დაკავებული უცხოელების მიერ ქვეყნის ბიუჯეტში შეტანილი თანხა ბიუჯეტის ხუთი პროცენტი იყო

დ. 2018 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხა 10-12%-ს შეადგენს

21. ყურადღებით გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვას:

„ეგრეთ წოდებული ეკონომიკური თავისუფლება, რომელსაც დამგეგმავები დაგვპირდნენ, უფრო ზუსტად ნიშნავს იმას, რომ უნდა გაგვიადვილდეს საკუთარი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა და აგვიცოდეს ყველაზე მწარე ხვედრი, რასაც ცხოვრება გვიმზადებს. რადგანაც თანამედროვე პირობებში თითქმის მთლიანად გარეშე პირების მომსახურებაზე ვართ დამოკიდებული, ეკონომიკური დაგეგმვა ძალაუნებურად ჩვენი ყოფის სფეროს მოიცავს. ძნელად თუ მოიძებნება ცხოვრების რომელიმე ასპექტი, პირველადი საყოფაცხოვრებო საჭიროებებიდან დაწყებული, ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობების, ჩვენი საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებისა და თავისუფალი დროის გამოყენების ჩათვლით, რომ დამგეგმავმა არ ისარგებლოს თავისი „მიზანმიმართული ჩარევის“ უფლებით. დამგეგმავთა ზეგავლენა ჩვენს პირად ცხოვრებაზე ნაკლებშესამჩნევი ძნელად თუ გახდება, თუკი ხელისუფლება წარმოებაზე კონტროლს შეინარჩუნებს, ხოლო მომხმარებელს შემოსავლების საკუთარი სურვილით განკარგვის მხოლოდ მინიმალური თავისუფლება ექნება. ჩვენი არჩევანის თავისუფლება კონკურენტულ საზოგადოებაში ემყარება იმას, რომ თუ ერთი პირი უარს იტყვის დააკმაყოფილოს ჩვენი სურვილები, შეგვიძლია სხვას მივმართოთ. მაგრამ მონოპოლისტის შემთხვევაში, მის მოწყალეობაზე ვართ დამოკიდებული. ხოლო ხელისუფლება, რომელიც მართავს მთელ ეკონომიკურ ურთიერთობებს, ყველაზე ძლევამოსილი მონოპოლისტია, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება.“

ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკი, „გზა ბატონყმობისაკენ“

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

ა. გეგმიური ეკონომიკის პირობებში ადამიანი უფრო ბედნიერი იქნება, რამდენადაც მას არ მოუწევს ბევრი ფიქრი საყოფაცხოვრებო საკითხებზე

ბ. გეგმიური ეკონომიკა თავიდან აგვარიდებს მწარმოებლების თავგასულობას და ხელს შეუწყობს უფრო თანასწორი საზოგადოების განვითარებას


გ. კონკურენციის პირობებში ადამიანს აქვს არჩევანი სხვადასხვა ნაწარმს შორის, რაც მისი თავისუფლების გამოხატულებაა

დ. ეკონომიკური საქმიანობა ჩვენი ყოფის ნაწილია და ამდენად, გარეშე პირებთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება ჩვენი თავისუფლების შეზღუდვაა

ინსტრუქცია

რუკის ანალიზი (№22-24)

დავალებაში მოცემულია რუკა, რომელიც ასახავს მსოფლიოს ქვეყნებს ბიზნესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით. მას ახლავს სამი დავალება არჩევითი პასუხებით. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი.



22. რუკის თანახმად, ბრაზილიაში ბიზნესის თავისუფლების ინდექსი არის:

ა. ძალიან მაღალი

ბ. მაღალი

გ. საშუალო

დ. ძალიან დაბალი

23. დავალებაში ქვეყნები დაჯგუფებულია გარკვეული პრინციპის მიხედვით. ქვეყანათა რომელი ჯგუფი არ შეესაბამება აღნიშნულ პრინციპს?

ა. ჩინეთი, ირანი, ფინეთი

ბ. ინდოეთი, პოლონეთი, კანადა

გ. ჩრდ. კორეა, თურქეთი, სამხ. კორეა

დ. ვენესუელა, მონღოლეთი, საქართველო

24. რუკის თანახმად, ბიზნესის თავისუფლების ინდექსი:

- ა. მექსიკაში და ბრაზილიაში თანაბარია
- ბ. იაპონიაში უფრო დაბალია, ვიდრე თურქეთში
- გ. საბერძნეთში უფრო მაღალია, ვიდრე გერმანიაში
- დ. საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე საბერძნეთში

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

25. დაადგინეთ შესაბამისობა I სვეტში დასახელებულ ადამიანის უფლებებსა და II სვეტში მოცემულ ადამიანის უფლებათა თაობებს შორის:

I. ადამიანის უფლებები	II. ადამიანის უფლებათა თაობები
ა. შრომის უფლება	1. პირველი თაობის უფლებები 2. მეორე თაობის უფლებები 3. მესამე თაობის უფლებები
ბ. ერის თვითგამორკვევის უფლება	
გ. სიცოცხლის უფლება	
დ. განათლების უფლება	
ე. ჯანსაღი გარემოს უფლება	
ვ. სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება	

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვა). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება N26

დემოკრატია და საერთაშორისო ურთიერთობები

დემოკრატიული მმართველობის სისტემა გულისხმობს ქვეყნის მართვას ხალხის მიერ, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით. არაპირდაპირ დემოკრატია, სხვანაირად, საკონსტიტუციო დემოკრატია უწოდებენ. დემოკრატიულ სისტემაში ხელისუფლების ლეგიტიმაციას განაპირობებს ელიტის ნება. დემოკრატიულ სახელმწიფოში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე ის, თუ რამდენად აქვს საზოგადოებას გაცნობიერებული საკუთარი უფლებები და მოვალეობები.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება სამართლებრივად შეუზღუდავია, ხოლო მოქალაქეებს უფლება აქვთ შეცვალონ ის კანონიერი გზით, არჩევნების საშუალებით. არჩევნებში მონაწილეობა პროფესიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. თუმცა, სახელმწიფო მართვაში მონაწილეობა მხოლოდ არჩევნებში ხმის მიცემით არ შემოიფარგლება. სახელმწიფოს დემოკრატიულობა მით უფრო სიცოცხლისუნარიანია, რამდენადაც დაბალია საზოგადოების ინტერესი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური საკითხების მიმართ. დემოკრატიის ლიბერალური გაგება გულისხმობს საზოგადოების გახსნილობას,

[გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე](#)

კულტურათაშორის ურთიერთობას და თითოეული მოქალაქისგან მოითხოვს ღვთის წინაშე მორჩილებას.

სახელმწიფოს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა და საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობა. საქართველოში სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების მართვაზე პასუხისმგებელია იუსტიციის სამინისტრო.

ადამიანს, რომლის პროფესიაც საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვაა, კონსულტანტი ეწოდება, ხოლო სახელმწიფოს სახელით სხვა ქვეყანაში საგანგებოდ მივლენილ პირს - ელჩი ან კონსული.

საერთაშორისო სამართლებრივ აქტს, რომელიც წარმოადგენს არანორმატიულ აქტს, სახელმწიფოები ერთობლივად აყალიბებენ და მასზე მიერთებით ეთანხმებიან მის წესებს და იღებენ ამ წესების დაცვის ვალდებულებას.

სტრასბურგის 1949 წლის ოთხი კონვენცია და მისი დამატებითი სამი ოქმი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი დოკუმენტებია. აღნიშნულ კონვენციას მიერთებულია საქართველოს სახელმწიფო, რომელიც იზიარებს ამ დოკუმენტებით განსაზღვრულ ჰუმანიტარულ კონფლიქტებში მსხვერპლის დაცვის ნორმებს და ომის წარმოების მეთოდებს.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)

ინსტრუქცია

სასკოლო პროექტი (N27)

დავალებაში მოცემულია პროექტის არასრული მონახაზი (აღწერილია პრობლემა და განსაზღვრულია პროექტის მიზანი). დაწერეთ ორი განსხვავებული ამოცანა და მათი განხორციელების გზები. გაითვალისწინეთ, ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილ პრობლემასა და პროექტის მიზანს. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 27

პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი:

სკოლებში გახშირებულია სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს შორის ფიზიკური დაპირისპირება, რის გამოც ბევრი მოსწავლისათვის სკოლა არ არის უსაფრთხო გარემო. ბევრი მათგანი ცდილობს თავი აარიდოს სკოლაში სიარულს. ეს ფაქტი ხელს უშლის საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობას.

პროექტის მიზანი:

სასკოლო თემში არაძალადობრივი კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

(დაწერეთ კონკრეტული მიმართულებები პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად)

I ამოცანა:

II ამოცანა:

(დაწერეთ კონკრეტული ნაბიჯები, აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად)

I ამოცანის განხორციელების გზა:


II ამოცანის განხორციელების გზა:

ინსტრუქცია

ილუსტრაციის ანალიზი (N28)

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ილუსტრაციას. გაანალიზეთ იგი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N28



28.1 ვის განასახიერებს კვარცხლბეკზე მდგომი ფიგურა? ვის განასახიერებს ადამიანი, რომელიც დააკავეს?

28.2 იმსჯელეთ ილუსტრაციით გადმოცემული პრობლემის შესახებ.

28.3 იმსჯელეთ არგუმენტირებულად ილუსტრაციით გადმოცემული პრობლემის გადაჭრის გზებზე.

ინსტრუქცია

არგუმენტირებული მსჯელობა (N29)

გაეცანით სადისკუსიო თემას და დაასახელეთ არგუმენტები. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი, კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 29

საქართველოს სახელმწიფო სხვადასხვა საერთაშორისო კოალიციის წევრია. მათ შორის სამხედრო კოალიციისაც. ეს კავშირი გულისხმობს ქართველი სამხედროების სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობასაც. აღნიშნულ საკითხს ჰყავს, როგორც მხარდამჭერები, აგრეთვე მოწინააღმდეგეები.

A. დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი არგუმენტი, თუ რატომ უნდა მიიღოს საქართველომ მონაწილეობა საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტებში.

B. დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი არგუმენტი, თუ რატომ არ უნდა მიიღოს საქართველომ მონაწილეობა საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტებში.

ინსტრუქცია


წყაროს ანალიზი (N30)

დავალებაში მოცემულია რამდენიმე წყარო, რომელსაც ახლავს, როგორც დავალებები არჩევითი პასუხებით, ისე ღია კითხვები. გაეცანით მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება N 30

წყარო N1

თბილისის ურბანიზაცია



ურბანიზაცია - ქვეყანაში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა.

წყაროებზე გადასვლა: [N2](#) [N3](#) [N4](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1](#) [30.2](#) [30.3-30.7](#)

წყარო N2

„განმარტოებულ სახლებში და პაწია სოფლებში, რომლებიც გაფანტული არის ისეთ უდაბურ ქვეყანაში, როგორც ზემო შოტლანდიაა, თითოეული ფერმერი უნდა იყოს ყასაბიც, მეპურეც და ლუდის მხდელიც თავის ოჯახისათვის. ასეთ პირობებში ძნელად მოსალოდნელია შევხვდეთ თუგინდ მჭედელს, ხუროს ან კალატოზს 20 მილზე ნაკლებ დაშორებით მისი თანამოხელისაგან. შორიშორ გაბნეული ოჯახები, რომლებიც ერთმანეთისაგან 8 ან 10 მილის მანძილზე ცხოვრობენ, იძულებული არიან ისწავლონ – თვითონ შეასრულონ მრავალი წვრილმანი სამუშაო, რომლის შესასრულებლად ისინი უფრო დასახლებულ ადგილებში ამ ხელოსნების დახმარებას მიმართავდნენ. სოფლელი ხელოსნები თითქმის ყოველგან იძულებული არიან ხელი მოჰკიდონ ფრიად სხვადასხვა პროფესიას, რომლებსაც ერთი მეორესთან მხოლოდ ის კავშირი აქვს, რომ მათში ერთნაირი მასალა იხმარება. სოფლელი ხურო ასრულებს ყოველგვარ ხის სამუშაოს, სოფლელი მჭედელი ამზადებს რკინისაგან ყოველგვარ ნაწარმოებს. პირველი არის არა მარტო ხურო, არამედ დურგალიც, ავეჯის მკეთებელიც და ხის მჭრელიც კი, აგრეთვე აკეთებს თვლებს, გუთნებს, ურმებს და ეტლებს. მჭედლის მოსაქმეობა კიდევ უფრო მრავალფეროვანია. ზემო-შოტლანდიის შორეულ და შიგნითა მიდამოებში შეუძლებელი არის მეღურსმის არსებობა დამოუკიდებლად.“

ადამ სმითი, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“

წყარო N3

„ცივილიზებული კაცობრიობა თავის გარემომცველ და მარჩენალ ცოცხალ ბუნებას ბრმად და ბარბაროსულად რომ აჩანაგებს, ამით საკუთარ თავს აყენებს ეკოლოგიური განადგურების საფრთხის წინაშე. თუ იგი ამას ოდესმე ეკონომიკურად იგრძნობს, შეიძლება კიდევ მიხვდეს თავის შეცდომას, მაგრამ ვაი თუ უკვე დაგვიანებული აღმოჩნდეს. ყველაზე ნაკლებად კი კაცობრიობა იმას ამჩნევს, ეს ბარბაროსული პროცესი რა ძლიერ ვნებს მის საკუთარ სულს. ცოცხალი ბუნებისაგან საყოველთაო და მზარდ გაუცხოებას დიდი ბრალი მიუძღვის ცივილიზებული ადამიანის ესთეტიკურ და ეთიკურ გაუხეშებაში. საიდან უნდა გაუჩნდეს მოზარდს რაიმეს წინაშე მოწიწების გრძნობა, თუ ყველაფერი რასაც გარშემო ხედავს, ადამიანის ნახელავია და თანაც, იაფფასიანი და უშნო ნახელავი? ქალაქელისათვის თვით ვარსკვლავებით მოჭედილი ცაც მაღლივი სახლებით და ქიმიური გამონახობებითაა დაფარული. აღარც არის გასაკვირი, თუ ცივილიზაციის წინსვლას ქალაქისა და სოფლის გულსაკლავი დამახინჯება მოსდევს. შეადარეთ რომელიმე გერმანული ქალაქის ძველი ცენტრი მის თანამედროვე პერიფერიებს, ან თვითონ ეს გარემოში მძაფრად შეჭრილი კულტურის სამარცხვინო ლაქა - მის მიერ ჯერ ხელუხლებელ ადგილებს.“

კონრად ლორენცი, „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“

წყარო N4

„თანამედროვე უზარმაზარ ქალაქებში ადამიანთა მასების დაგუბებას დიდი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ ამ კალეიდოსკოპივით მბრუნავ ადამიანთა ორომტრიალში ზოგჯერ ახლობელსაც კი ვეღარ ვამჩნევთ. მოყვასის სიყვარული მოყვასის მასად ქცევის გამო, და იმის გამოც, რომ ეს მოყვასი ასე უსაშველოდ ახლოსაა, ისე იწრიტება, რომ ბოლოს მისი კვალიც ქრება. ვისაც სურვილი აქვს, წრფელი და თბილი გრძნობა შეინარჩუნოს თანამოდმეთა მიმართ, მეგობრების ვიწრო წრით უნდა შემოიზღუდოს თავი, რადგან ჩვენი ბუნებით არა ვართ ისე შექმნილი, რომ ყველა ადამიანის სიყვარული შევძლოთ, რაც უნდა სწორი და ეთიკური იყოს ამის მოთხოვნა. მაშასადამე, ჩვენ უნდა მოვახდინოთ არჩევანი და სხვა ადამიანები, რომლებიც, შესაძლოა, ასევე ღირსნი იყვნენ ჩვენი მეგობრობისა, გრძნობის კარნახით, „თავიდან მოვიშოროთ.“

კონრად ლორენცი, „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“

30.1 ადამ სმითის ტექსტის მიხედვით:

- ა. ქალაქის ეკონომიკა სოფლის ეკონომიკასთან შედარებით უფრო მზარდია
- ბ. სოფელში მოქალაქეები უფრო მრავალფეროვან საქმიანობას ეწევიან, რაც ზრდის მათ მიერ წარმოებული საქონლის ხარისხს
- გ. სოფელი არ იძლევა წარმოების სპეციალიზაციის საშუალებას
- დ. ერთმანეთთან ახლო დისტანციაზე მყოფი სოფლები საშუალებას აძლევს მათ მოსახლეობას მჭიდროდ ითანამშრომლონ საერთო საკითხებზე

30.2 N3 წყაროს თანახმად:

- ა. ტექნიკურ განვითარებას თან სდევს ეკონომიკური განვითარება, რაც თანამედროვე ცივილიზაციების სიმდიდრეში აისახება
- ბ. ადამიანის მიერ სასიცოცხლო გარემოს გაჩანაგებას არა მხოლოდ ბუნება, არამედ მისი საკუთარი სულიერებაც ეწირება
- გ. ქალაქების ზრდასთან ერთად იცვლება მისი ისტორიული უბნებიც, რაც სავსებით ბუნებრივი პროცესია
- დ. ადამიანი მუდმივად ცვალებად გარემოში ცხოვრობს და მისი გრძნობები და განცდები იხვეწება იმის მიხედვით, თუ რამხელა პროგრესს აღწევს მის მიერ შექმნილი კულტურა

- 30.3** წყაროებზე დაყრდნობითა და თქვენი წინარე ცოდნის გამოყენებით განმარტეთ შრომის დანაწილების პრინციპი. იმსჯელეთ, რა მიმართებაა ურბანიზაციასა და შრომის დანაწილებას შორის.
- 30.4** განიხილეთ ურბანიზაციის პროცესის ორი დადებითი შედეგი სოციო-კულტურულ კრილში.
- 30.5** N4 წყაროს მიხედვით რა უარყოფითი შედეგი მოჰყვება „ქალაქებში ადამიანთა მასების დაგუბებას“?
- 30.6** წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელეთ რამდენად აქტუალურია ურბანიზაციით გამოწვეული პრობლემები საქართველოსთვის? მოიყვანეთ მაგალითი.
- 30.7** განიხილეთ ორი ქმედითი ნაბიჯი, რითიც შეიძლება ხელისუფლება გაუმკლავდეს ურბანიზაციის გამოწვევებს. მსჯელობა გაამყარეთ არგუმენტებით.